

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ., №35, ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფარმაციის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 კრედიტი: მათ შორის - ძირითადი სასწავლო კურსები - 220 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი დისციპლინები - 20 კრედიტი. (1 ECTS კრედიტი შეესაბამება 25 საათს)
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>პროგრამის მიზანია ბაკალავრებს მისცეს ფართო ცოდნა ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, გადამუშავების, მზა წამალთფორმების მომზადების, ფარმაცევტული ანალიზის, სტანდარტიზაციის, რაციონალური ფარმაცოთერაპიის, ფარმაცევტული დაწესებულებების და საწარმოების ორგანიზაციის პრინციპების, მართვისა და საბაზრო ეკონომიკის თეორიული საფუძვლებისა და პრაქტიკულად განხორციელების ხერხებზე, მეთოდებზე და თანამედროვე ტექნოლოგიებზე.</p> <p>პროგრამის მიზანია ასევე ხელი შეუწყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას.</p>
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა</p> <p>იცის: ადამიანის ორგანიზმის, მისი ცალკეული ნაწილების, ორგანოების, ორგანოთა სისტემების ფორმა და აგებულება. უჯრედთა ინტეგრაცია და ქსოვილთა წარმოქმნა, სხვადასხვა ქსოვილის სტრუქტურული და ფუნქციური ორგანიზაცია, მათი წარმოშობა. გააჩნია ფიზიოლოგიური ცოდნის საფუძვლები; სასიცოცხლო პროცესების მოლეკულური მექანიზმების, მემკვიდრეობისა და ცვალებადობის კანონზომიერებები, როგორც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის ნორმალური პროცესების, ასევე მათი დარღვევების დროს; ცოცხალ ორგანიზმში შემავალ ნაერთთა ძირითადი კლასების შედგენილობა, ნახშირწყლების, ლიპიდებისა და სხვა ნაერთების ცვლა, პათოლოგიური პროცესები; ყველა ფარმაცოლოგიური ჯგუფი, მათი მოქმედების მექანიზმები, ფარმაცოლოგიური ეფექტები, ორგანიზმში შეყვანის, ბიოტრანსფორმაციის და ელიმინაციის გზები;</p> <p>მიკროსმყაროს (ბაქტერიების, სოკოების, ვირუსების) მორფოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური თავისებურებები და ამ მიკროსამყაროს ურთიერთქმედება ადამიანთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის საფუძვლები; ფარმაცევტული დაწესებულებებისა და საწარმოების ორგანიზაციის პრინციპები, მართვისა და საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები; ფარმაცევტული ნედლეულისა და პროდუქციის, მათი დამზადების, გადამუშავებისა და ანალიზის ფიზიკური, მექანიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფუძვლები; ფარმაცევტული პროდუქციის დამზადებისა და ანალიზის მეთოდები და გამოყენებული აპარატურა-მანქანების, ხელსაწყოების მუშაობის პრინციპები; მათემატიკის ძირითადი საბაზო საკითხები.</p> <p>აგნობიერებს: ორგანიზმის ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და პათოლოგიურ პროცესებს, ბიო-ლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა როლს და დანიშნულებას ცოცხალ სისტემებში; ფარმაცევტული ნედლეულის დამზადების, შენახვის. ეფექტური, ხარისხიანი და უსაფრთხო ფარმაცევტული პროდუქციის მიღების აუცილებლობას აფთიაქისა და ფარმაცევტული საწარმოს პირობებში; ფარმაცევტული ნედლეულისა და პროდუქციის ანალიზის, სტანდარტიზაციისა და რაციონალური ფარმაცოთერაპიის მნიშვნელობას; ფარმაცევტულ პრაქტიკაში საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას; ფარმაცევტული დაწესებულებების ორგანიზაციულ სტრუქტურას, მართვის პრინციპებს, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებს.</p> <p>უნარები.</p> <p>შეუძლია: სტანდარტული მეთოდებით ნივთიერებათა მიღება და მათი ქიმიური ანალიზის პრაქტიკულად განხორციელება; მათემატიკური მოდელის</p>

	<p>აგება; ბუნებრივი (მცენარეული, ცხოველური და მინერალური) ნედლეულის დამზადება და შენახვა; სამკურნალო წამლო საშუალებების ექსტემპორალური დამზადება (რეცეპტის შესაბამისად) და ფარმაცევტული პროდუქციის სერიული წარმოება (რეგლამენტის შესაბამისად); ნედლეულის, სუბსტანციის და ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის კონტროლი ნორმატიული დოკუმენტაციის შესაბამისად; სტანდარტული მეთოდების გამოყენებით ფარმაცევტული პროდუქციის ქიმიური, ბიოლოგიური და ტოქსიკოლოგიური ანალიზი; აპარატურა-დანადგარების და ხელსაწყოების უსაფრთხოდ ექსპლუატაცია; რაციონალური ფარმაცოთერაპიის წარმოება; ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა; გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების დროს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; საერთაშორისო, სახელმწიფო სტანდარტებისა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენება; წინასწარ განსაზღვრული მითითებებით ფარმაცევტული პროდუქციის სტაბილურობის განსაზღვრა და ვარგისიანობის ვადების დადგენა; წინასწარ განსაზღვრული მითითებებით კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში, ანალიზში და სოციალურ ფარმაციაში: ქართულ და უცხოურ ენებზე კითხვა, წერა, მოსმენა და მეტყველება.</p> <p>შეუძლია: ფარმაცევტული საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი ფაქტორები მონაცემების შეგროვება, გააზრება, გაანალიზება და ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება; გამორჩეული (ბიოფარმაცევტული კვლევის) მეთოდების გამოყენებით ფარმაცევტული პროდუქციის კეთილხარისხოვნებაზე დასკვნის გაკეთება; პროფესიულ თემებზე დისკუსია და დებატები კოლეგებთან.</p> <p>შეუძლია ფარმაციის დარგში: სწავლის საჭიროების განსაზღვრა და მისი აუცილებლობის დადგენა პრიორიტეტების გათვალისწინებით;</p> <p>აქვს: ახალ სიტუაციაში ადაპტირებისა და ჯგუფური მუშაობის უნარი; პროფესიული და კარიერული ზრდის მიზნით სწავლის უნარი; შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების უნარი; სასწავლო კომპონენტების შერჩევისა და სწავლის დაგეგმვის უნარი.</p> <p>კომპეტენციები.</p> <p>აქვს ფარმაცევტულ პრაქტიკაში ეთიკისა და სამართლებრივი პრინციპების დაცვისა და გამოყენების კომპეტენცია; ახალი პროფესიული მასალის მოძიების, დამუშავებისა და ინფორმაციის მიწოდების კომპეტენცია კოლეგების და მომხმარებლებისათვის ზეპირი ან წერილობითი სახით როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ენებზე; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების პრაქტიკულ ფარმაციაში ეფექტურად და შემოქმედებითად გამოყენების კომპეტენცია; პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული საქმიანობის ხარისხიანად შესრულებაზე; მონაწილეობს და ამკვიდრებს წამლის ეფექტურობის, ხარისხისა და უსაფრთხოების ღირებულებებს;</p> <p>გააჩნია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებების შეგნება. იცავს მომხმარებლის ინტერესებს. პატივს სცემს მშობლიური ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება: (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; (C) კარგი - 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>ეთერი ჯაყელი ასოცირებული პროფესორი ტელეფონი: (+99599) 42 55 22 ელ-ფოსტა: jakeli.eteri@bsu.edu.ge</p> <p>სოფიო ბერიძე, პროფესორი ტელეფონი: (+99593) 30 01 70 E-mail: sophio.beridze@bsu.edu.ge</p>